დამტკიცებულია შპს სკოლა-ლიცეუმი
ცისაკარის დირექტორის
2024 წლის 19 ივლისის N797 ბრძანებით

მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი

შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარი

შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარის

მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი განსაზღვრავს შპს სკოლა- ლიცეუმ ცისაკარში (შემდგომში – სკოლა) მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის პირობებს.
2. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი შემუშავებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის'' და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია სასკოლო საზოგადოების წევრების უსაფრთხოებისა და მათი კანონიერი უფლებების დაცვა.

მუხლი 2. მოსწავლისა და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების შესახებ ინფორმირება

1. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 61 პუნქტის შესაბამისად, მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის ფორმდება ხელშეკრულება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო მომსახურეობის გაწევისა და მხარეთა უფლება-მოვალეობების შესახებ.
2. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები მშობელთა კრებებსა და კლასის საათზე აწვდიან ინფორმაციას მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.) აღნიშნული ინფორმაცია ასევე ეგზავნებათ კლასის დამრიგებლების მიერ ელექტრონულ ფოსტაზე/ სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში.
3. თითოეული მოსწავლე და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია იცნობდეს შინაგანაწესს› ასევე შინაგანაწესში შეტანილ ცვლილებებს ცვლილების შეტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 3. მოსწავლისა და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები

1. მოსწავლეს უფლება აქვს:
   1.1. ფლობდეს ინფორმაციას მისი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ;
   1.2. თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან

სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლოს სკოლის მიერ აღიარებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით;

1.3. მიიღოს სრული ზოგადი განათლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის;

1.4. იცნობდეს სასკოლო სასწავლო გეგმას (სასკოლო სასწავლო გეგმა განთავსებულია დაწესებულების შენობაში/სკოლის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის);

1.5. დააფიქსიროს პოზიცია, მეორე უცხოური ენის/არჩევითი საგნის სწავლებასთან დაკავშირებით;

1.6. დააფიქსიროს პოზიცია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო ან სააღმზრდელო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით;

1.7. მოითხოვოს სემესტრული გამოცდა სემესტრული ნიშნის ამაღლების მიზნით - პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლომეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში;

1.8. საშემოდგომო გამოცდის დაძლევის მიზნით მოითხოვოს კონსულტაცია და შესაბამისი საგნის სახელმძღვანელოები;

1.9. მოითხოვოს მასწავლებლის კონსულტაცია კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;

1.10. კანონმდებლობით დადგენილი ფორმით შინ სწავლებაზე გადასვლის შემთხვევაში მოითხოვოს შინ სწავლება მისთვის მისაღები ფორმით- პირისპირ ან დისტანციურად;

1.11. მიიღოს მონაწილეობა სკოლის მიერ ორგანიზებულ არაფორმალურ აქტივობებში.

1.12. განაგრძოს სწავლა სხვა სკოლაში სკოლიდან გარიცხვის შემთხვევაში;

1.13. გადავიდეს ერთი სკოლიდან სხვა სკოლაში ზოგადი განათლების იმავე საფეხურზე, სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

1.14. მიიღოს სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციისა;

1.15. მიიღოს მონაწილეობა სკოლის მიერ მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მისი აზრის მოსმენისა და განხილვაში უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით;

1.16. დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით, რაც არ ათავისუფლებს მას დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან;

1.17. მისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივროს მასწავლებლის, სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება;

1.18. კანონით დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოიძიოს, მიიღოს, შექმნას, შეინახოს, დაამუშაოს ან გაავრცელოს ნებისმიერი ინფორმაცია და იდეები, აგრეთვე გამოიყენოს სკოლის რესურსები ინფორმაციისა და იდეების მოსაძიებლად, მისაღებად, შესაქმნელად, შესანახად, დასამუშავებლად ან გასავრცელებლად, საქართველოს კანონმდებლობით;

1.19. გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;

1.20. საქველმოქმედო მიზნებისათვის, დადგენილი წესით მოიზიდოს ნებაყოფლობითი შემოწირულობები;

1.21. წინასწარი შეტყობინების საფუძველზე სკოლის ტერიტორიაზე კანონით დადგენილი წესით შეკრების;
1.22. არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ეთნიკური, რელიგიური, გენდერული იდენტობის შესახებ;
1.23. ჰქონდეს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, ნებისმიერი ან არცერთი რწმენისა თუ მსოფლმხედველობის ნებაყოფლობით არჩევის და შეცვლის შესახებ;
1.24. სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლოს რელიგია ან ჩაატაროს რელიგიური რიტუალი, თუ იგი ემსახურება რელიგიური განათლების მიღებას;
1.25. ფლობდეს ინფორმაციას სკოლის მიერ მოსწავლის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება, მონაცემების დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი, რა გზით შეგროვდა მონაცემები, ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები გაცემის საფუძვლისა და მიზნის მითითებით;
1.26. დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან;
1.27. საჭიროების შემთხვევაში მიმართოს სკოლის სამედიცინო პერსონალს;
1.28. არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის შესახებ თუ ეს საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებრივ ჯანდაცვას ან მოსწავლის სიცოცხლეს;
1.29. შექმნას სასკოლო კლუბები, მოსწავლეთა თვითმმართველობა ან სხვა გაერთიანება.

2. მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს:
2.1. იცნობდეს სასკოლო სასწავლო გეგმას (სასკოლო სასწავლო გეგმა განთავსებულია დაწესებულების შენობაში თვალსაჩინო ადგილზე/სკოლის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის);
2.2. დააფიქსიროს პოზიცია, მეორე უცხოური ენის/არჩევითი საგნის სწავლებასთან დაკავშირებით;
2.3. დააფიქსიროს პოზიცია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო ან სააღმზრდელო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით;
2.4. მოითხოვოს სემესტრული გამოცდა სემესტრული ნიშნის ამაღლების მიზნით - პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში;
2.5. კანონმდებლობით დადგენილი ფორმით შინ სწავლებაზე გადასვლის შემთხვევაში მოითხოვოს მისი შვილის შინ სწავლება მისთვის მისაღები ფორმით - პირისპირ ან დისტანციურად;
2.6. საჭიროების შემთხვევაში მიმართოს ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრს;
2.7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში, სკოლისგან დამოუკიდებლად მიმართოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს;
2.8. მიიღოს მონაწილეობა სკოლის მიერ ორგანიზებულ არაფორმალურ აქტივობებში;
2.9. პირადად ან არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში;
2.10. იცნობდეს სკოლის სამოქმედო წლიურ გეგმას;
2.11. მიიღოს სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა პერსონალური

მონაცემების შემცველი ინფორმაციისა;

2.12. საქველმოქმედო მიზნებისათვის, დადგენილი წესით მოიზიდოს ნებაყოფლობითი შემოწირულობები;

2.13. წინასწარი შეტყობინების საფუძველზე სკოლის ტერიტორიაზე კანონით დადგენილი წესით შეკრების;

2.14. არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ეთნიკური, რელიგიური, გენდერული იდენტობის შესახებ;

2.15. ფლობდეს ინფორმაციას სკოლის მიერ მოსწავლის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება, მონაცემების დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი, რა გზით შეგროვდა მონაცემები, ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები გაცემის საფუძვლისა და მიზნის მითითებით;

2.16. ჰქონდეს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, ნებისმიერი ან არც ერთი რწმენისა თუ მსოფლმხედველობის ნებაყოფლობით არჩევის და შეცვლის შესახებ;

2.17. მოითხოვოს სკოლის შენობაში შესვლა სკოლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროს, ან განსხვავებულ პერიოდში სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;

2.18. მოითხოვოს ინდივიდუალური შეხვედრა მასწავლებელთან, სკოლის დირექციის წარმომადგენელთან, სკოლის ფსიქოლოგთან, სკოლის ექიმთან;

2.19. ფლობდეს ინფორმაციას მისი შვილის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ზომების შესახებ;

2.20. მიიღოს მონაწილეობა სკოლის მიერ მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მისი აზრის მოსმენისა და განხილვაში უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით;

2.21. მისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივროს მასწავლებლის, სკოლისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღონ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება.

მუხლი 4. სკოლაში დასაქმებული პირების კანონიერი უფლებები

სკოლაში დასაქმებული თითოეული პირის შრომითი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით.

1. სკოლაში დასაქმებულ პირს უფლება აქვს:

1.1. იცნობდეს შინაგანაწესს, ასევე შინაგანაწესში შეტანილ ცვლილებებს ცვლილების შეტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

1.2. იცნობდეს სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმას;

1.3. სკოლის დირექტორთან წარადგინოს საჩივარი/მოთხოვნა სკოლის სხვა პერსონალის ან რომელიმე მოსწავლის ან რომელიმე მოსწავლის მეურვის მხრიდან თავისი უფლებების დარღვევის გამო და მოითხოვოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება;

1.4. დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით, რაც არ ათავისუფლებს მას დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან;

1.5. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით;

1.6. ჰქონდეს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, ნებისმიერი ან არც ერთი რწმენისა თუ მსოფლმხედველობის ნებაყოფლობით არჩევის და შეცვლის შესახებ;

1.7. ფლობდეს ინფორმაციას მის შესახებ რომელი პერსონალური მონაცემი მუშავდება,

მონაცემების დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი, რა გზით შეგროვდა მონაცემები, ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები გაცემის საფუძვლისა და მიზნის მითითებით;

1.8. არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ეთნიკური, რელიგიური, გენდერული იდენტობის შესახებ;

1.9. არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის შესახებ თუ ეს საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებრივ ჯანდაცვას;

1.10. ისარგებლოს კუთვნილი შვებულებით;

1.11. შეუზღუდავად ისარგებლოს სკოლის სივრცეებით: სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და ა.შ.

1.12. თავისუფლად შეიკრიბონ სკოლის ტერიტორიაზე კანონით დადგენილი წესით სკოლის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე;

1.13. ფლობდეს ინფორმაციას წლიური სამოქმედო გეგმის შესახებ.

2. მასწავლებელს დამატებით უფლება აქვს:

2.1. მოსთხოვოს დაწესებულებას მუშაობისთვის აუცილებელი პირობების შექმნა;

2.2. მიიღოს შრომის ანაზღაურება ხელშეკრულების მიხედვით;

2.3. ობიექტური მიზეზების გამო უარი თქვას მოსწავლის შინ სწავლებაზე პირისპირ მეთოდით;

2.4. მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას შესაბამისი სასწავლო რესურსების (თვალსაჩინოება, დამატებითი სახელმძღვანელო, მეთოდური რესურსი) შეძენის მოთხოვნით;

მუხლი 5. წესის მიღება და მასში ცვლილების შეტანა

1. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესს/ მექანიზმებს შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.
2. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესის/მექანიზმების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.